

ზოგადი რეკომენდაცია XV (42) კონვენციის მე-4 მუხლზე

1. როდესაც რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენცია მიიღეს, ითვლებოდა, რომ მე-4 მუხლს ქონდა ცენტრალური მნიშვნელობა რასობრივ დისკრიმინაციასთან ბრძოლის თვალსაზრისით. იმ დროს საყოველთაოდ იყო გავრცელებული ავტორიტარული იდეოლოგიების აღორძინების შიში. რასობრივი აღმატებულების შესახებ იდეების გავრცელების ან იმგვარი ორგანიზებული საქმიანობის აკრძალვა, რომელიც სავარაუდოდ წააქეზებს პირებს რასობრივი ძალადობისკენ, მართებულად ითვლებოდა მნიშვნელოვნად. მას შემდეგ კომიტეტმა იხილა ეთნიკური წარმოშობის ნიშნით ორგანიზებული ძალადობისა და ეთნიკური განსხვავებების პოლიტიკური ექსპლოატაციის მტკიცებულებები. ამის გამო, მე-4 მუხლის იმპლემენტაცია დღეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.

2. კომიტეტი მიუთითებს თავის VII ზოგად რეკომენდაციაზე, სადაც მან განმარტა, რომ მე-4 მუხლის დებულებები სავალდებულო ხასიათისაა. ამ ვალდებულებების შესასრულებლად, წევრმა სახელმწიფოებმა არა მხოლოდ სათანადო კანონმდებლობა უნდა მიიღონ, არამედ აგრეთვე უნდა უზრუნველყონ მისი ეფექტური აღსრულება. იმის გამო, რასობრივი ძალადობის მუქარა და ქმედებები მარტივად იწვევს ამგვარი ქმედებების ახალი წყების ჩადენას და მტრულ გარემოს ქმნის, მხოლოდ მყისიერი ჩარევა წარმოადგენს ეფექტური რეაგირების ვალდებულების შესრულებას.

3. მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი მოითხოვს წევრი სახელმწიფოსგან აკრძალული ქცევის ოთხი კატეგორიის დასჯადად გამოცხადებას: ა) რასობრივ აღმატებულებაზე ან სიძულვილზე დამყარებული იდეების გავრცელება; ბ) რასობრივი სიძულვილისკენ მოწოდება; გ) ძალადობის აქტები ნებისმიერი რასის ან განსხვავებული კანის ფერის ან ეთნიკური წარმოშობის პირთა ჯგუფის მიმართ და დ) ამგვარი ქმედებებისკენ მოწოდება.

4. კომიტეტის აზრით, რასობრივ აღმატებულებასა ან სიძულვილზე დამყარებული ნებისმიერი იდეის გავრცელების აკრძალვა შესაბამისობაშია აზრის და გამოხატვის თავისუფლებასთან. ეს უფლება ასახულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლში და მითითებულია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო კონვენციის მე-5 მუხლის „დ“ (viii) ქვეპუნქტში. მისი რელიევანტურობა მე-4 მუხლისთვის თავად ამ მუხლშივეა ხაზგასმული. მოქალაქის მიერ ამ უფლების განხორციელებას თან ახლავს განსაკუთრებული ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, რომელიც დაკონკრეტებულია საყოველთაო დეკლარაციის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტში; მათ შორის ვალდებულება, რომ პირმა არ გაავრცელოს რასისტული იდეები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. კომიტეტს დამატებით სურს წევრი სახელმწიფოების ყურადღება მიაპყროს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-20 მუხლს, რომლის თანახმადაც ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილის გაღვივება, რომელიც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზებას უნდა აკრძალოს კანონით.

5. მე-4 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი აგრეთვე დასჯადად აცხდებას რასისტული საქმიანობის დაფინანსებას, რაც კომიტეტის განმარტებით მოიცავს ყველა იმ ქმედებას, რაზეც საუბარი იყო მე-3 პარაგრაფში, ზემოთ, ანუ ქმედებებს რომლებიც ეფუძნება ეთნიკურ, ისევე როგორც რასობრივ განსხვავებებს.

## რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი

კომიტეტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს გამოიკვლიონ, რამდენად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას მათი ეროვნული კანონმდებლობა და მისი აღსრულება.

6. ზოგიერთ სახელმწიფოს აქვს მიდგომა, რომ მათი მართლწესრიგის ფარგლებში არასწორია უკანონოდ გამოცხადდეს ორგანიზაცია, სანამ მისი წევრები არ დაიწყებენ რასობრივი დისკრიმინაციის ხელშეწყობას ან წაქეზებას. კომიტეტი მიიჩნევს, რომ მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი უფრო მძიმე ტვირთს აკისრებს ამგვარ სახელმწიფოებს, რათა მათ გამოიჩინონ სიფხიზლე და დაიწყონ მოქმედება ამ ორგანიზაციების წინააღმდეგ ადრეულ ეტაპზე. ეს ორგანიზაციები, ისევე როგორც ორგანიზებული და სხვა სახის პროპაგანდისტული საქმიანობა, უნდა გამოცხადდეს უკანონოდ და აიკრძალოს. ამ ორგანიზაციების საქმიანობაში მონაწილეობა, თავისთავად დასჯადი უნდა იყოს.

7. კონვენციის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი აყალიბებს საჯარო ხელისუფლების ორგანოების მოვალეობებს. საჯარო ხელისუფლება ადმინისტრაციის ყველა დონეზე, მუნიციპალიტეტების ჩათვლით, შებოჭილია ამ პუნქტით. კომიტეტი ადგენს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ამ ვალდებულების შესრულება და ანგარიში წარმოადგინონ მის შესახებ.

981-ე შეხვედრა

17 მარტი, 1993



**ზოგადი რეკომენდაცია ითარგმნა სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით.**